ABUT THE "FELLOWSHIP" OF DAVID THE BUIDER AND THE CRUSADERS

დავით აღმაშენებლისა და ჯვაროსნების „თანაალმობის" შესახებ

Nino Javelidze
Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, consultant
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-4447-6735
javelidzenino0@gmail.com

Abstract

In 2022 *David the Builder (Numismatic Heritage)* - the book of numismatist Maia Pataridze was published, which discusses the newly discovered five-cross coin of David IV and related issues. According to the author, putting a Latin cross on his own coin by a Georgian king is a manifestation of active alliance with the Crusaders ɔnd it is a direct indication that the relationship between David IV and the Crusaders was indeed went beyond diplomatic ties and that they were not merely linked to each other by a desire for fellowship. The Latin source quoted by the author does not show that the Crusaders and the King of Georgia had close political-military ties. Such references are not preserved in any other sources either. Therefore we can not share the author's point of view. M. Pataridze also fails to substantiate her assumption that David IV the Builder could change the royal flag of feudal Georgia and display the Catholic "five-cross" symbol on his flag.

In view of the above: her assumption regarding the change of the appearance of the flag is unfounded and it is perceived as the author's M. Pataridze's imaginative point of view.

Key words: "Fellowship", David the Builder, five-cross coin, Latin cross, Crusaders

ნინო ჯაველიძე
აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
კონსულტანტი
ORCID ID: 0000-0002-4447-6735
javelidzenino0@gmail.com

2022 წელს დაისტამბა ნუმიზმატ მაია პატარიძის წიგნი დავით აღმაშენებელი (ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა), სადაც განხილულია დავით აღმაშენებლის ახალაღმოჩენილი, „ხუთჯვრიანი" მონეტა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ვიდრე ამ ნაშრომის თაობაზე მოგახსენებდეთ ჩვენს მოსაზრებას, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მონეტებზე არსებული „ხუთჯვრიანი" ნიშნის შესახებ პირველად ჯერ კიდევ 20 წლის წინ ყურადღება გაამახვილა ისტ. მეცნ. დოქტორმა, პროფესორმა თ. დუნდუამ, ვისი აზრითაც მონეტებზე გამოსახული ეს ნიშანი იყო კათოლიკური ინტეგრაციის სიმბოლო. მკვლევარმა თავისი მოსაზრება დაასაბუთა კათოლიკურ სამყაროში მოჭრილი არაერთი „ხუთჯვრიანი" მონეტის მიხედვით. (დუნდუა, 200:8). წლების შემდგომ ნუმიზმატმა ც. ღვაბერიძემ განიხილა XIII საუკუნის ქართველ მეფეთა მონეტებზე გამოსახული „ხუთჯვრიანი" ნიშნის საკითხი და იგი მიიჩნია როგორც ქართული სიმბოლო (ღვაბერიძე, 2018: 44-58).

და აი, ახლა უკვე მ. პატარიძე იკვლევს ახლად აღმოჩენილ, დავით აღმაშენებლის „ხუთჯვრიან" მონეტას და გვთავაზობს თავის ახსნას ამ ნიშანთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხისა გამო. მ. პატარიძის მონოგრაფიის გაცნობისას მკითხველს, იმის გამო, რომ ავტორმა გაითვალისწინა თავისი უფროსი კოლეგის, თ. დუნდუას თვალსაზრისი „ხუთჯვრიანი" მონეტის წარმომავლობასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ჩაესახოს იმედი, რომ იგი თავის ნაშრომში ნათელს მოჰფენს სიმართლეს საქართველოს სახელმწიფო დროშის იერსახის თაობაზე, რომელსაც გაკვრით ახსენებს კიდეც. მაგრამ მონოგრაფიის გაცნობისთანავე ცხადდება, რომ მას „თავისებურად" ესმის სეფე დროშის იერსახის საკითხი, ხოლო მონეტის „ხუთჯვრიანი" სიმბოლიკის გაჩენის მიზეზებთან დაკავშირებით მისი კვლევა არაერთ კითხვას აჩენს, თანაც ისე ჩანს, თითქოს მისთვის სეფე დროშის შექმნის ისტორია არანაირად არ უკავშირდება ქართული დროშათმცოდნეობის ტრადიციულ, მყარად ჩამოყალიბებულ წესებს. ამიტომ გადაწყვიტეთ ვუპასუხოთ ავტორს და წარმოვაჩინოთ ჩვენეული თვალთახედვა „ხუთჯვრიან" მონეტასთან და, შესაბამისად, სეფე დროშის იერ-სახესთან დაკავშირებით,

წიგნში განხილულ საკითხთაგან გამოვყოფდით შემდეგს:

1. ლათინთა სიმბოლიკის შემოსვლა დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილ ფულზე, ისტორიული წყაროების არარსებობის შემთხვევაშიც კი, მეფის ჯვაროსნებთან პირდაპირ კავშირს თუ არა, მათ მიმართ გარკვეულ კეთილგანწყობას მაინც უნდა მოასწავებდეს. ამიტომ ვთვლით, რომ დავითის მონეტებზე შემჩნეული დეტალი, რომელსაც ჯვაროსნების ემისიებს ვუკავშირებთ, საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ურთიერთობების

ამსახველი წყაროებისა და ისტორიოგრაფიის ფონზე უნდა განვიხილოთ (პატარიძე, 2022: 98).

2. წყაროებმა ერთმნიშვნელოვნად აჩვენეს ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობების უტყუარობა და საფუძველი გამოაცალეს სამეცნიერო წრეებში გაჩენილ სკეპტიციზმს. მით უფრო მაშინ, როდესაც ჯვაროსნული სიმბოლიკა უმაღლეს სახელმწიფოებრივ დოკუმენტზე, დავით IV-ის მიერ მოჭრილ მონეტებზე აღიბეჭდა (პატარიძე, 2022: 103).

3. დავით IV აღმაშენებლის ახალი ცალის რევერსი, გარდა იმისა, რომ ჯვაროსნების მონეტების იკონოგრაფიასთანაა ახლოს, თითქმის იდენტურია მისი თანამედროვის, კონსტანდინ I-ის მონეტის ავერსისა. განსხვავება მხოლოდ წარწერაშია (იგულისხმება ქართული და სომხური წარწერები) (პატარიძე, 2022: 107).

4. [ორდერიკ ვიტალისის] წყარო შესანიშნავად აჩვენებს დავით მეფისა და კილიკიელების მეგობრულ ურთიერთობას, ორივე ერთად კი ჯვაროსანთა მოკავშირედ გვევლინებან (პატარიძე, 2022: 108).

5. ქართველი მეფის მიერ საკუთარ მონეტაზე ლათინთა ჯვრის დასმა ჯვაროსნებთან აქტიური მოკავშირეობის მანიფესტირებაა და პირდაპირ მიმანიშნებელია, რომ დავით IV-ისა და ჯვაროსნების ურთიერთობა მართლაც შორდებოდა მხოლოდ დიპლომატიურ კავშირებს და ერთმანეთთის მიმართ მათ მხოლოდ თანაალმობის სურვილი არ აკავშირებდათ (პატარიძე, 2022: 108)

6. ძნელია ჯვაროსნული ფული წამყვან ვალუტად ჩაითვალოს მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე, ანდა ლათინთა იმპერია საქართველოსთვის ისეთ დომინანტ სახელმწიფოდ ჩაითვალოს, რაც ქართველ მეფეს სამონეტო იკონოგრაფიაზე ცვლილებების შეტანას აიძულებდა (პატარიძე, 2022: 109)

მკვლევარი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ „დავითის მონეტებზე შემჩნეული დეტალი, რომელსაც ჯვაროსნების ემისიებს ვუკავშირებთ, საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის ურთიერთობის ამსახველი წყაროებისა და ისტორიოგრაფიის ფონზე უნდა განვიხილოთ". იგი, გარკვეულწილად, ცდილობს კიდევაც საკუთარი ძიება ამ მიმართულებით წარმართოს. ოღონდაც, ერთი რამ არის თვალშისაცემი – ავტორი მოიხმობს ოდენ ლათინურ წყაროებს და საერთოდ არ ახსენებს და არ ითვალისწინებს ქართულ და სხვა უცხოენოვან ისტორიულ წყაროებს, ჯვაროსნობასთან დაკავშირებული მასალით რომ გამოირჩევა. და ეს მაშინ, როცა მახლობელ აღმოსავლეთში ჯვაროსნები იყვნენ დამპყრობელნი, მომხდურნი, ვისაც მიზნად დაესახათ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება კათოლიკური ინტეგრაციის საფუძველზე. ბიზანტია იყო იმპერია, რომლის არსებობა ლათინებმა შეაჩერეს რამდენიმე ათეული წლით, ხოლო მუსლიმურ სამფლობელოებთან მათ ჰქონდათ გამუდმებული, საუკუნეობრივი ომები. ამ ხნის განმავლობაში ჯვაროსნები მართლმადიდებლებს ავიწროებდნენ და დევნიდნენ ისევე, როგორც ეპყრობოდნენ მუსლიმებსა და იუდეველთ. განა მართებულია, ამ პოლიტიკურ-იდეოლოგიური დაპირისპირების, მცირე აზიაში რომ იყო დასადგურებული, წარმოჩენა ოდენ ლათინური წყაროების

საფუძველზე?!

მცირე აზიაში განვითარებული მოვლენები მართლაც რომ განაპირობებდა ქართველ მეფეთა დამოკიდებულებას ჯვაროსნობისადმი, კარგად ჩანს ქართული წყაროებიდან. ჩვენს მატიანეში გარკვევით არის ნაჩვენები დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა I ჯვაროსნული ლაშქრობის დროსა და XII ს-ის პირველ მეოთხედში. საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი" აღნიშნულია, რომ დავით აღმაშენებელმა „დასუა მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თჳსი". ამას დავითის მემატიანე ამბობს კომნენოსების მიმართ, ლევანტის ლათინი მეფე-მთავარნი კი ჩანან მათ შორის, ვინც მიელტვოდა დავითთან კეთილ ურთიერთობას: „[მის] აჩდილსა შეკრებილ იყვნენ მეფენი... ფრანგეთისანი..." (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1955; 351, 360). როგორც ვხედავთ, წყაროში სრულიად გამჭვირვალედ და ცალსახად არის გაცხადებული დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკური მიზანდასახულობა ჯვაროსნობის ეპოქაში: მეფესა და ბიზანტიის იმპერატორს ჰქონდათ ერთიანი ხედვა მცირე აზიაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების მიმართ, რაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შეფასებულია კიდევაც როგორც ახალი ურთიერთობის დაწყება ქართველ და ბერძენ მბრძანებლებს შორის. ამ ახალ ურთიერთობებში მათ გვერდით არ ჩანან ლათინი მმართველები, მათ ისღა დარჩენოდათ, რომ სხვა მმართველთა (ოვსეთის, ყივჩაყეთის, სომხეთის, შარვანის, სპარსეთის...) დარად საკუთარი ადგილი მოეპოვებინათ დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა ქვეშე". ამ გამონათქვამით გაცხადებულია დავით აღმაშენებლისა და ლათინი მეფე-მთავრების ურთიერთდამოკიდებულების არსი, ოღონდაც, მ. პატარიძისგან განსხვავებით, ამ კავშირს ვერ ვუწოდებთ თანასწორთა ურთიერთდამოკიდებულებას. ამგვარი ორმხრივი კეთილგანწყობის ამსახველი მასალა არ მოიპოვება არც ქართულ, არც ბიზანტიურ და არც თავად მ. პატარიძის მიერ მოხმობილ ლათინურ წყაროებში. მაშინ, რა სახის კავშირები უნდა ჩამოყალიბებულიყო მეფე დავით აღმაშენებელსა და ლათინ მეფე-მთავართა შორის და რისი თქმის საფუძველს იძლევა წყაროთა მონაცემები?

იმ დროს, როდესაც ბიზანტიის მიწა-წყალზე შეჭრილი ჯვაროსნები „სქიზმატიკოს" ბერძენთა ჩვილებს, შამფურზე წამოგებულებს, ცეცხლზე წვავდნენ (https://libking.ru> Анна Комнина. Алексиада), მართლაც წინდაუხედავი და მიზანშეუწონელი იქნებოდა, დავით აღმაშენებელს „თჳს სახლეულად" არ დაესახა იმპერატორი. პოლიტიკურ ენაზე ეს ნიშნავდა, რომ მართლმადიდებელი ბაგრატიონებისა და მართლმადიდებელი კომნენოსების პოლიტიკური ურთიერთკავშირი ეფუძნებოდა ერთიან ხედვას კათოლიკ ჯვაროსანთა მცირე აზიაში მოძალების თაობაზე. ასეთი პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოს მეფეებსა და ბიზანტიის იმპერატორებს შორის გრძელდებოდა მთელი საუკუნის განმავლობაში, კომნენოსების კონსტანტინოპოლში ზეობის დასრულებამდე და ლათინთა იმპერიის დაარსებამდე. ჩვენი აზრით, ბერძენთა ჩვილთა შამფურებზე წამოგება, რაც გახლდათ სიმბოლური გამოხატულება მართლმადიდებლური ქვეყნების მიმართ ჯვაროსანთა იდეოლოგიური

პოლიტიკისა, საქართველოს სამეფო კარისთვის ცნობილი გახდებოდა არა მხოლოდ მსტოვართა ინსტიტუტის თუ სხვა საძიებო საშუალებით, არამედ, უპირველესად, ამ „საერთო სახლეულობის" წყალობით. დავით აღმაშენებელს, როგორც მართლმადიდებლური ქვეყნის მეფეს, ჩინებულად უნდა ცოდნოდა, რომ ბიზანტიის შემდეგ ჯერი საქართველოზეც მიდგებოდა. ბიზანტიურ წყაროებში მოიპოვება ცნობა იმის თაობაზე, თუ რა გეგმები დაესახათ ჯვაროსან მეთაურებს კონსტანტინოპოლის აღებისთანავე. მათ დაუგეგმავთ ჯერ ბიზანტიის სრული დაპყრობა, შემდეგ დაჭერა ლიბიისა, ქ. ალექსანდრიის, ლიბანიდან ნუმიდიამდე და გადირამდე მდებარე მიწების, შემდეგ პართიის, სპარსეთის და ბოლოს, **აღმოსავლეთი იბერიის**, ასურეთის, ჰირკანიისა და სხვა ტერიტორიების (Византийские истории, 1860: 351).

მართალია, ბიზანტიელი მემატიანე ასაჯაროებს კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომდროინდელ დაპყრობით გეგმებს, მაგრამ ეს განზრახვა ჯვაროსნებს მცირე აზიაში ფეხის დადგმისთანავე რომ ჰქონდათ, ჩანს ერთი გამონათქვამიდან, რომელიც ეკუთვნის დასავლეთევროპელ მკვლევარ პ. ლემერლის: „უკვე I ლაშქრობის დროიდან მოყოლებული ჰაერში ქროდა IV ლაშქრობა". ამრიგად, ქართული და ბიზანტიური წყაროების თანახმად ირკვევა, რომ სრულიად განსხვავებული იყო საქართველოს სამეფო კარის ხედვანი და ჯვაროსანთა მისწრაფებანი მახლობელი აღმოსავლეთისა და, კერძოდ, მცირე აზიის გეოპოლიტიკური, სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივი საკითხების თაობაზე. მეტიც, მათი ხედვანი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო და გამომრიცხავი. ერთნი ლამობ-დნენ კათოლიციზმის საყოველთაო ბატონობის პირობებში მთელი მახლობელი აღმოსავლეთის დაპყრობას და სხვა რელიგიების მოსპობას, მეორენი ითვალისწინებდნენ საკუთარი ქვეყნის ირგვლივ არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას, რაც გულისხმობდა მახლობელ აღმოსავლეთში მუსლიმურ სამყაროსთან თანაარსებობას. ამიტომაც შენიშნავდა მკვლევარი შ. მესხია, რომ „საქართველოს სახელმწიფო ჯვაროსნების მაგვარად მუსლიმებს კი არ ებრძოდა საერთოდ, არამედ იმ თურქ დამპყრობლებს, რომლებმაც ქართველი ხალხის გადაშენება მოინდომეს... ცხადია, ასეთ ვითარებაში საქართველოსა და ჯვაროსნების ინტერესები არ შეიძლებოდა ერთმანეთს დამთხვეოდა და მათი კავშირი მხოლოდ დროებითი პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული" (მესხია, 1972: 74-75).

ამრიგად, ქართულ და ბიზანტიურ წყაროთა მონაცემებით ცხადდება, რომ, ერთი მხრივ, ჯვაროსნებსა და, მეორე მხრივ, საქართველო-ბიზანტიას შორის არსებობდა, შეიძლება ითქვას, გადაულახავი წინააღმდეგობა იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივ, ეკონომიკურ-პოლიტიკურ სფეროებში და ავტორის ნათქვამი იმის თაობაზე, რომ „დავით IV-ისა და ჯვაროსნების ურთიერთობა შორდებოდა მხოლოდ დიპლომატიურ კავშირებს", არ უნდა ასახავდეს სინამდვილეს. რა თქმა უნდა, საქართველოს მეფესა და ჯვაროსნებს შორის არსებობდა გარკვეული კავშირები, ისევე, როგორც, ვიცით, რომ, იყო შემთხვევები, როცა ბიზანტიის იმპერატორები ეხმარებოდნენ ჯვაროსნებს და მათ საერთო ტაქტიკური გზებიც გამოუნახავთ ამა თუ იმ საკითხის მოსაგვარებლად (მაგ. ნიკეის გათავისუფლება) მაგრამ დაუსაბუთებელი ჩანს

მ. პატარიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ „ქართველები გვევლინებიან ჯვაროსანთა მოკავშირედ, დავით IV-ისა და ჯვაროსნების ურთიერთობა მართლაც შორდებოდა მხოლოდ დიპლომატიურ კავშირებს". ქართულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ამგვარი განზოგადოებული დასკვნის სასარგებლოდ ცნობები არ მოიპოვება. ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე აცხადებს მ. პატარიძე ყოველივეს? იქნებ, სათანადო ცნობები შემოგვინახეს დასავლეთევროპელმა ავტორებმა? მკვლევარ-ნუმიზმატი მართლაც მოიხმობს ცნობას ლათინურენოვანი წყაროდან, თუმცა საკითხავია, რას იუწყება ქრონისტი?!

მ. პატარიძე წერს: „ეს წყარო (ორდერიკ ვიტალისის) შესანიშნავად აჩვენებს, დავით მეფის და კილიკიელების მეგობრულ ურთიერთობას, ორივე ერთად კი – ჯვაროსანთა მოკავშირედ გვევლინება. ეს დოკუმენტი თითქოს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დავითი არა მარტო ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, არამედ იმ ქვეყნებთანაც ცდილობს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს, რომლებიც ლათინთა სახელმწიფოების არა მარტო დასაყრდენი, არამედ უშუალო თანამებრძოლები არიან". ვიტალისის წყაროში მოთხრობილია, თუ როგორ დაიხსნა დავით აღმაშენებელმა კილიკიის მთავრის ძმასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი ჯვაროსანი რაინდები, რომლებიც მათ ანტიოქიაში დაუბრუნებიათ. ეს არის და ეს. საიდან ჩანს ამ ცნობით, რომ დავით აღმაშენებელს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კილიკიის სომხეთთან ან იგი ჯვაროსანთა მოკავშირე იყო? განა ტყვედქმნილი ჯვაროსნების დახსნა და მათი ანტიოქიაში დაბრუნება მეტყველებს, რომ საქართველოს მეფეს მეგობრული ურთიერთობა აქვს კილიკიელებთან, ორივენი კი ჯვაროსანთა მოკავშირეები არიან?! მეტიც, როგორ ჩანს ამ წყაროდან, რომ „დავით აღმაშენებელი ცდილობს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს არა მხოლოდ ჯვაროსნებთან, არამედ იმ ქვეყნებთანაც რომელნიც არიან ლათინთა სახელმწიფოების არა თუ დასაყრდენი, არამედ უშუალო თანამებრძოლნი" (?!) გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის დახმარება, ხელის გაწვდენა შეჭირვებულთათვის სხვა რამ გახლავთ, იგი ეთიკურ-ზნეობრივი ბუნების გამოვლინებაა, ხოლო სტრატეგიული მოკავშირეობა სულ სხვა მოცემულობაა და ასეთი ურთიერთობის წარმოსაჩენად უტყუარი ცნობები უნდა გვქონდეს. მაგალითისთვის შეიძლება მოვიხმოთ დემეტრე I-ის დამოკიდებულება ლათინი მეფე-მთავრების მიმართ. დემეტრე I-ის დროს არსებობდა კავშირი ტამპლიერთა და ქართველ ბერ-მონაზონთა შორის, მეტიც, წმ. მიწის ქართულ მონასტრებში გაჩენილან კიდევაც „ხელქვეით მცხოვრები" იტალიელნი. მაგრამ იმავდროულად პოლიტიკურ სარბიელზე მიმდინარეობს ისეთი მოვლენები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას, რომ ეს „ეკლესიური თანაარსებობა" მივიჩნიოთ, როგორც მანიშნებელი საქართველოს სამეფოსა და ჯვაროსანთა შორის მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო კავშირებისა. ცნობილია, რომ იმხანად ვითარდება, ერთი მხრივ, ბიზანტიელთა და, მეორე მხრივ, ჯვაროსანთა სამხედრო დაპირისპირებამდე მისული პოლიტიკური ურთიერთმიუღებლობა. მხედველობაში გვაქვს 1156 წელს მანუილ I კომნენოსის მიერ ქ. ბრინდიზის გამო ლათინთა წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედებები, რომლის

დროს საიმპერატორო ჯარში ბერძენთა გვერდით სახელდებიან „იბერიელი" მეომრებიც ((https://azbuka.ru> Краткое обозрение, 1859).

ე. ი., ქართველები და ბიზანტიელები ერთად ებრძვიან ლათინებს. ასე რომ, შეჭირვებულისთვის ადამიანური დახმარების ფაქტის განზოგადება და ქართველ-ჯვაროსანთა ურთიერთობების აყვანა თვისობრივად ახალ, სრულიად სხვა სიბრტყეზე, რათა ვამტკიცოთ მათი „აქტიური მოკავშირეობა", ვფიქრობთ, უმართებულოა და მცდარი – ყოველ შემთხვევაში, ისტორიული წყაროებით შემონახული ცნობები არ იძლევა ამგვარი თვალსაზრისის გამოთქმის საფუძველს. მეორეც, კითხვებს აჩენს მ. პატარიძის სხვა ნათქვამი, თითქოსდა ვიტალისის წყარო აჩვენებდეს „დავით მეფისა და კილიკიელების მეგობრულ ურთიერთობებს". ვიდრე ასეთ აზრს შევთავაზებთ მკითხველს, იქნებ ზოგადად მაინც გადაგვეხედა იმ ცნობებისთვის, საიდანაც ჩანს დავით აღმაშენებლის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტები?! ცნობილია მეფე დავითის შემწყნარებლური დამოკიდებულება სამეფოს არამართლმადიდებელთა მიმართ და საამისოდ არაერთი მაგალითის მოხმობა შეიძლება. ისიც ცხადია, რომ აღმაშენებლის ამგვარი დამოკიდებულება ემყარებოდა საკუთარი ქვეყნის „შინაგანი უსაფრთხოების" უზრუნველყოფას. დავით მეფე, ისევე, როგორც სხვა ქართველი მეფენი მუდამ ითვალისწინებდა, რომ ქართველთა მიერ დაარსებულ სახელმწიფოში ყოველი „ნათესავის, ენისა და ტომის" არსებობა უნდა ყოფილიყო დაცული და მოწესრიგებული კანონით. ამიტომაც გამოირჩეოდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ერთიანი სამეფო იმით, რომ ქვეყნის შიგნით არც სოციალურ, არც სარწმუნოებრივ და არც ეთნიკურ ნიადაგზე არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ბრძოლები (პოლიტიკური დაპირისპირება არ იგულისხმება). დავით აღმაშენებლის საქართველოში, თქმა არ უნდა, ეს ტრადიცია მყარად იყო დაცული, რის მაგალითად გვესახება თუნდაც, მეფის მიერ სომხების კომპაქტური დასახლების ადგილას მათთვის ქალაქ გორის დაფუძნება. თუმცა წყაროებში შემონახულია ისეთი ცნობებიც, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს სამეფოს მთლიანობისა და მცხოვრებთა ერთიანობის შესანარჩუნებლად დავით აღმაშენებელი ფრთხილად, მაგრამ თანმიმდევრულად იღვწოდა ყოველთვის, მათ შორის „სომხური საკითხის" მოგვარების დროსაც. ვგულისხმობთ, 1124 წ-ს ქ. ანისის სელჩუკთაგან გათავისუფლებისა და ქალაქის შემოერთების შემდგომ მეფის მიერ საეკლესიო კრების ჩატარებას. ამის შესახებ ნათქვამია, რომ დავით მეფემ „მოისურვა სომეხთა და ქართველთა შეერთებაც". თავდაპირველად, იოანე კათალიკოსმა, არსენ იყალთოელმა და სხვა ეპისკოპოსებმა ვართაპედები დაითანხმეს კიდევაც, რომ ერთი რწმენისანი გამხდარიყვნენ, თუმცა შემდგომ საქმე იმგვარად წარიმართა, რომ სომხურმა მხარემ შეიცვალა პოზიცია და დავითმა კრება დაშალა... ამ ფაქტით კარგად ჩანს, რომ დავით აღმაშენებელს თავის ერთ-ერთ მიზნად სომეხთა მართლმადიდებლად მოქცევა და ქართველებთან ერთად საერთო სულიერი საწყისისკენ მობრუნება დაესახა. ასე რომ, „სომეხთა საკითხი" მისთვის ერთდროულად იყო ზრუნვისა და ჭმუნვის საგანი. მაგრამ საკითხი დავით მეფის

კილიკიელებთან შესაძლო „მეგობრობისა" შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც გარემოებებით ნაკარნახევი, დროებითი კავშირი, რის თაობაზე თავად მკვლევარი მ. პატარიძე გვთავაზობს შორსმიმავალ დასკვნას, თითქოსდა ორივენი – ქართველები და სომხები – ერთად გვევლინებიან ჯვაროსანთა მოკავშირეებად(?!) თუკი მ. პატარიძის აზრით, საქართველოსა და კილიკიის სომხეთის სამეფოს შორის მართლაც არსებობდა მყარი მეგობრული ურთიერთობა, მაშინ ეს მეგობრობა უნდა გამოვლენილიყო ან სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში, ანდა საერთო პოლიტიკური ქმედებებით. მაგრამ სადღეისოდ ცნობილ არცერთენოვან წყაროში საქართველოსა და კილიკიის სამეფოს შორის არ ჩანს ამგვარი „მეგობრობის" ამსახველი ცნობები. მეორე, დავით აღმაშენებლისა და კილიკიის მთავრის ძმის ერთობლივი ძალისხმევა ჯვაროსანთა დასახსნელად რატომ უნდა აჩვენებდეს ქართველთა მეგობრულ ურთიერთობას კილიკიელ სომხებთან, და არა, ვთქვათ, ედესელებთან? ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოსთან გეოგრაფიულად ედესა უფრო ახლოს მდებარეობდა, ვიდრე კილიკია და ამიტომ ქართველები დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ ედესელ ვაჭრებთან, რომელთა მეშვეობით შეეძლოთ ხმა მიეწვდინათ ანტიოქელი ჯვაროსნებისათვის. თუმცა ამ ნათქვამს ჩვენ ვიზიარებთ ნაწილობრივ და ვფიქრობთ, რომ მათი დამაკავშირებელი მხარე კილიკიის მთავრის სახლთან, იქნებ, საძიებელია არა გეოგრაფიული ფაქტორის მიხედვით, არამედ ეთნოკულტურული საკითხის გათვალისწინებით. ვგულისხმობთ იმას, რომ შუამდინარეთში ოდითგანვე ცხოვრობდნენ ქართველტომელთა წინაპარი შუმერები და ქალდეველნი (ნ. მარი, მ. წერეთელი). შემდგომ მათი ნაწილი გადასახლდა სხვადასხვა გეოგრაფიულ მხარეს (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, ცენტრალური კავკასიონის მთის კალთები (სვანეთი) და ა. შ.), რასაც მეტყველებს ადგილობრივი ტოპონიმები და ეთნონიმები. თუმცა, ქალდეველთა მეორე ნაწილი არ აყრილა შუამდინარეთიდან და ისინი ყოველთვის ცხოვრობდნენ იქ. ედესა იყო ცნობილი სავაჭრო პუნქტი, სადაც მრავლად საქმიანობდნენ ადგილობრივი სომეხი ვაჭრები და მათ გვერდით თანაარსებობდნენ ქალდეველნიც, რომელნიც ასევე ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. ამგვარად, XII ს-ის ედესაში ერთმანეთის გვერდიგვერდ სააღებმიცემო საქმიანობას მისდევდნენ ქალდეველი და სომეხი ვაჭრები (გიიომ ტირელი). უნდა ითქვას, რომ წმ. მიწაზე მცხოვრები ქალდეველ-ქართველნი გვიან შუა საუკუნეებშიც სახელდებიან და, ჩანს, ისინი მნიშვნელოვან დიასპორებს ქმნიდნენ, რადგანაც დასავლეთევროპელი მოგზაურები თუ მომლოცველები (ბრაიდენბახი (XV ს.), ლუდვიგ ჩუდი (XVI ს. ...) თავიანთ ნაწერებში აღნიშნავენ, თუ როგორ მრავლად იყვნენ იერუსალიმში „ბერძნული სარწმუნოების" ქართველები, რომლებიც ღვთისმსახურებას ატარებდნენ ბერძნულადაც, ხოლო ყოფა-ცხოვრებაში საუბრისას მეტყველებდნენ ქალდეურად (ქართულად) და სარაცინის (არაბულ) ენაზე (Цагарели, 1888: 58-60).

ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ედესის ქალდეველი ვაჭრები გამხდარიყვნენ შუამავალნი ედესელ სომხებთან, ვისი მეშვეობითაც დავით

აღმაშენებელი დაუკავშირდებოდა კილიკიის მთავრის, თოროს I-ის ძმას. ჩნდება კითხვა, რის საფუძველზე უნდა ვირწმუნოთ მ. პატარიძის ნათქვამი, რომ, ვინაიდან დავით აღმაშენებლის მონეტა იკონოგრაფიით ჰგავს მისი თანამედროვის, კილიკიის მეფის კონსტანდინ I-ის (1092-1100) მონეტას, ვისი სამეფოც ჯვაროსნულ ომებში წარმოადგენდა ლათინთა ერთგვარ დასაყრდენს, ამიტომ ორდერიკ ვიტალისის ცნობა დავით IV-სა და კილიკიის მეფის ერთობლივი ღონისძიებისა უნდა აჩვენებდეს საქართველოსა და კილიკიელების მეგობრულ ურთიერთობას (?!) ოდენ დავით აღმაშენებლისა და კონსტანდინ I-ის მონეტების „მსგავსება" არ არის მაჩვენებელი იმისა, რომ ვივარაუდოთ ორი მეფის მეგობრული ურთიერთობა. ჯერ ერთი, ეს მონეტები იკონოგრაფიულად არცთუ მსგავსია ერთმანეთისა, რადგანაც გარდა მათი სხვადასხვაენოვანი ლეგენდებისა, ისინი სხვა დეტალებითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თვალსაჩინოებისთვის მოვიხმობთ „ხუთჯვრიან" ქართულ, ლათინურ და სომხურ მონეტებს, საიდანაც ჩანს, რომ სხვაობა დავით IV-ის და კონსტანდინ I-ის მონეტებს შორის არცთუ ნაკლებია, ვიდრე სხვაობა დავით IV-ისა და შარლ ემანუილ I-ის მონეტებისა.

შარლ-ემანუილ I-ის მონეტა დავითის IV-ის მონეტა კონსტანდინ I-ის მონეტა

ასე რომ, ამ მყიფე, არცთუ სარწმუნო არგუმენტით ვერ წარმოჩნდება დავით აღმაშენებლისა და კილიკიის სომხების „მეგობრული ურთიერთკავშირი". ამიტომ ჩვენ ნაკლებ სარწმუნოდ გვესახება მ. პატარიძის აზრი ამ „პოლიტიკური მეგობრობისა" და მისი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „ორივე ერთად ჯვაროსანთა მოკავშირედ გვევლინება" მიგვაჩნია დაუსაბუთებლად. სხვა საქმა, თუკი ავტორი მონეტების მსგავსების მიხედვით გაჩენილი თვალსაზრისის გარდა წარმოადგენდა რაიმე საგულისხმო ფაქტებსა და ცნობებს, რათა დაესაბუთებინა საკუთარი პოზიცია.

გამომდინარე აქედან, ვერ ვხედავთ ვერანაირ საფუძველს, რათა დავეთანხმოთ ავტორს, თითქოსდა დავით IV აღმაშენებლისა და კონსტანდინ I-ის მონეტების იდენტურობა აჩვენებდეს, რომ საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი ჯვაროსანთა მოკავშირე და მათი სტრატეგიული მიზნების გამზიარებელი ყოფილიყოს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პასუხს საჭიროებს, გახლავთ „ჯვაროსნული ფულის" ქმედითუნარიანობა. ავტორი წერს: „ძნელია ჯვაროსნული ფული წამყვან ვალუტად ჩაითვალოს მახლობელი

აღმოსავლეთის ბაზარზე, ანდა ლათინთა იმპერია საქართველოსთვის ისეთ დომინანტ სახელმწიფოდ ჩავთვალოთ, რაც ქართველ მეფეს სამონეტო იკონოგრაფიაზე ცვლილებების შეტანას აიძულებდა" და შემდეგ ასკვნის: „დავით IV აღმაშენებლის გამოსახულებიან მონეტაზე ჯვაროსნული სიმბოლო პირდაპირ მიანიშნებს არა მარტო მეფისა და ლათინების ურთიერთობას, არამედ ადასტურებს ზემოთ განხილულ წერილობით წყაროებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობას და მათ მეტ ლეგიტიმაციას სძენს". ე. ი. მკვლევარის აზრით, დავითის მონეტაზე „ხუთჯვრიანი" ნიშანი არ გაჩენილა სავაჭრო-ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით, არამედ უკავშირდება საქართველოს მეფისა და ჯვაროსანი მეფე-მთავრების მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობას. ზემოთ ჩვენ შევეცადეთ ზოგადად გვეჩვენებინა, თუ რატომ არ შეიძლებოდა საქართველოს სამეფო კარსა და ჯვაროსნებს ჰქონოდათ ერთიანი ხედვა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი მოწყობისა გამო. ამჯერად გვსურს განვიხილოთ მახლობელ აღმოსავლეთში „ხუთჯვრიანი" მონეტის, როგორც ერთ-ერთი წამყვანი საფასეს საკითხი.

დავიწყოთ იმით, რომ „ხუთჯვრიანმა" ნიშანმა ქრისტეს ჯვარ-ცმისეული სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძინა დასავლეთ ევროპაში. თუმცა თავად გრაფიკული ჩანახატი ამ ნიშნისა, გაცილებით ადრე ჩნდება და ერთ-ერთი ძველი „ხუთჯვრიანი" მონეტა განეკუთვნება ძვ. წ. აღ-ით II საუკუნეს. ეს გახლავთ სელევკიდების ეპოქის აქემენიდური მონეტები, რომლებზეც ხსენებული ნიშანი გამოსახულია ზოროასტრულ საკურთხეველთან ერთად (სურათი: 1, 2, 3).

სურ. 1



სურ. 2

სურ. 3

ცნობილია, რომ ასეთი ნიშნიანი მონეტები იჭრებოდა უფრო აღ-მოსავლეთითაც, ინდოეთის სამონეტო სფეროში. თუმცა ქრისტეანობის გავრცელების შემდეგ, როდესაც ამ სიმბოლომ შეიძინა ჯვარცმის მნი-შვნელობა, იგი მყარად დამკვიდრდა დასავლეთი ევროპის ქვეყნების საფინანსო სისტემაში.

ამას მეტყველებს ის, რომ ადრე შუა საუკუნეებისა და განვითარებული შუა საუკუნეების დასავლეთევროპელი მეფენი, ჰერცოგნი, მარკგრაფები და ა. შ. საკუთარ მონეტებზე ხშირად გამოსახავდნენ ამ ნიშანს. რო-დესაც დასავლეთი ევროპა და აღმოსავლეთის ქრისტეანული ქვეყნები

ერთმანეთს სარწმუნოებრივ ნიადაგზე დაშორდნენ, ეს ნიშანი ყოველთვის აღიქმებოდა როგორც კათოლიკური სიმბოლო, ვინაიდან იგი უპირველესად და უპირატესად გამოიყენებოდა კათოლიკური სამყაროს სასულიერო და საერო სფეროებში, მათ შორის ნუმიზმატიკაში. რაც შეეხება აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს, აქ მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ „ხუთჯვრიანი" ნიშანი არ იქნა აღიარებული ჯვარცმის სიმბოლოდ და იგი, **როგორც წესი**, არ გამოიყენებოდა სასულიერო სფეროსა თუ საერო დარგებში. თუმცა, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც „ხუთჯვრიანი" სიმბოლო აქაც გვხვდება სასულიერო თუ საერო ძეგლებზე. ოღონდაც ასეთი ნიშნით აღბეჭდილი ნიმუშები განიხილება როგორც გამონაკლისი ერთეულები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ, თუ სად, რომელ ქვეყანაში, რა დროიდან, რა სახით აისახა კათოლიკური დასავლეთის მოძალება და რა ხარისხის გახლდათ კათოლიციზმის ზეწოლა მართლმადიდებელ ეკლესიებზე. ხაზგასმით უნდა ითქვას, „ხუთჯვრიანი" ნიშანი არსით არის კათოლიკური სიმბოლო და იგი დამახასიათებელი არ გახლავთ მართლმადიდებლური სამყაროსთვის. ახლა მივუბრუნდეთ ნუმიზმატიკურ მასალას. თვალშისაცემია, რომ დაწყებული XI საუკუნიდან, როდესაც ევროპაში მომწიფდა აზრი ჯვაროსნული მოძრაობის დაწყებისა, ამ ნიშნით გამოსახული მონეტები მიმოქცევაში ჩნდება მახლობელ აღმოსავლეთშიც. საგულისხმოა, რომ „ხუთჯვრიანი" მონეტა პირველად მოჭრეს კილიკიის სამეფოში, თანაც უფრო ადრე, ვიდრე მას გამოიყენებდნენ ახლად დაარსებულ იერუსალიმის სამეფოში. ამით იმის თქმა გვსურს, რომ კილიკიის სომხები მცირე აზიაში (და არა მხოლოდ აქ) იყვნენ ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა სავაჭრო-საფინანსო ურთიერთობების განვითარებისა და, მრავლისმეტყველია, რომ თავდაპირველად სწორედ კილიკიურ სამონეტო სისტემაში მკვიდრდება კათოლიკური ნიშნიანი საფასე. ჯვაროსნულ ეპოქაში, როდესაც ლევანტში დაარსდა ლათინთა სამეფო-სამთავროები და, განსაკუთრებით კი ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდგომ, მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ოპერაციებს წარმართავდნენ პიზელ-ვენეციელ-გენუელი ვაჭარ-კოლონისტები, რომელნიც სხვა ევროპულ ფულად ერთეულებთან ერთად და მათ დარად იყენებდნენ „ხუთჯვრიან" მონეტებს.

ჯვაროსანთა მოძალება, მართალია, არა იმდენად სამხედრო ექსპედიციების სახით, არამედ უფრო იდეოლოგიური შეტევის გზით, აღმოსავლეთი ევროპის მართლმადიდებლურმა ქვეყნებმაც იწვნიეს, თანაც საყოველთაო კათოლიკური გაერთიანების ამსახველი სიმბოლო აქ თანდათან ჩნდება სხვადასხვა დარგის ძეგლებსა თუ ნიმუშებზე. ამ ქვეყანათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ბულგარეთი, ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფი ყირიმის ქალაქები, რუსეთის სამთავროები, რომელთა **გერბებზე, დროშებზე, საბეჭდავებსა** და, აგრეთვე, **მონეტებზე** ზოგჯერ ჩნდება ხსენებული „ხუთჯვრიანი" ნიშანი. ამჯერად სტატიის შინაარსიდან გამომდინარე შემოგთავაზებთ რამდენიმე მონეტის ნიმუშს.

 ბულგარეთის II სამეფო. თეოდორ სვიატოსლავის ძე ტერტერის მონეტა (1300-1322)	 „ლიტვის რუსეთი". ნოვგოროდის მონეტა (XIV ს)
 ნოვგოროდი. ვოლოდიმირ ოლგერდის ძის მონეტა (1331-1398)	 დიმიტრი ოლგერდის ძის მონეტა (1327-1399)
 სოფ. გოჩევოში ნაპოვნი მონეტა (XI ს.)	 ქ. კრასლავა. დაუდგენელი ემისიის მონეტა

ზემოთ ნაჩვენები მონეტებიდან ზოგიერთი მათგანი იჭრებოდა ადგილობრივ, იმ ქვეყნებში, სადაც ისინი აღმოაჩინეს. მაგრამ სოფ. გოჩევოს (კურსკის რაიონი) მონეტები, მკვლევართა აზრით, არ არის ადგილობრივი ემისიისა, არამედ იგი თავისი ხატწერით „მსგავსია იმპერატორ ოტტოს ეპოქის მონეტების". გოჩევოს სამარხში ამგვარი „დასავლური მონეტების ბრაქტეატები", ნაპოვნია რამდენიმე ერთეული ცალი (Равдина, 1988: 47). ასევე გასათვალისწინებელია ლატვიის ქ. კრასლავაში ნაპოვნი, დაუდგენელი ემისიის მონეტა და სხვ. (https://coins.lave.ru/forum/viewtopic.php?f=56&t=1031536).

ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთის ევროპულ ნაწილში „ხუთჯვრიანი" მონეტების გავრცელების ფაქტები უნდა მეტყველებდეს, რომ, ჯერ ერთი, ამ ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემაში გამოიყენებოდა ადგილობრივად მოჭრილი „ხუთჯვრიანი" საფასეები. თანაც ე. წ. ნოვგოროდის საფასესა და ვოლოდიმირ ოლგერდოვიჩის მონეტის (რომელიც ასევე ნოვგოროდშია მოჭრილი), განსხვავებული ხატწერის

მიხედვით ჩანს, რომ ნოვგოროდში ამგვარი მონეტები რამდენჯერმე იყო ემისირებული (https://coins.lave.ru/forum/viewtopic.php?f=56&t=1031536 Полюхович).

მეორეც, გარდა ამ ფაქტისა, სოფ. გოჩევოში ნაპოვნი დასავლური დინარებით წარმოჩნდება, რომ ამ მონეტებს, შემოტანილი რომ არის, სააღებმიცემო საფასეს სახით იყენებდნენ ქვეყანათშორისი სავაჭრო ურთიერთობების დროს. ამრიგად, „ხუთჯვრიანი" მონეტების მრავალჯერადი ემისიის ფაქტმა და გავრცელებისა თუ გამოყენების ფართო არეალმა გვიჩვენა, რომ ამ საფასეებით ვაჭრობდნენ როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთის ტერიტორიაზე, მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ, მცირე აზიის სახელმწიფოებში, ყირიმის სავაჭრო პორტებში, კვიპროსზე და ა. შ. ამიტომ კითხვები ჩნდება მ. პატარიძის ნათქვამის გამო, თითქოსდა „ძნელია ჯვაროსნული ფული წამყვან ვალუტად ჩაითვალოს მახლობელ აღმოსავლეთის ბაზარზე". ნუმიზმატიკური სფეროდან მოხმობილი არტეფაქტებით ცხადდება სრულიად სხვა, მ. პატარიძის თვალსაზრისის საპირისპირო სინამდვილე. ჯვაროსნულ ეპოქასა და მის შემდგომაც (XVI ს-მდე) დასტურდება, რომ ევროპის სახელმწიფოთა მეფენი და მახლობელი აღმოსავლეთის კათოლიკი მეფე-მთავრები ჭრიდნენ და იყენებდნენ „ხუთჯვრიან" საფასეებს.

ცნობილია, რომ განვითარებული შუა საუკუნეების ევროპაში „მსოფლიო ვალუტად" აღიქვამდნენ ბიზანტიის ოქროს მონეტას. ოღონდაც იმის გათვალისწინებით, რომ XII საუკუნიდან ბიზანტიის მონეტა თანდათანობით იწყებს გაუფასურებას, მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო-საფინანსო სფეროში მუსლიმურ მონეტებთან ერთად და სხვა ევროპული მონეტების დარად „ხუთჯვრიანი" მონეტებიც გამოიყენებოდა. წამყვან პოზიციებზე გასვლას „ხუთჯვრიანი" მონეტებისა განაპირობებდა ის, რომ აქ ამ საფასეებს ჭრიდნენ ლათინური სამეფო-სამთავროების მეფე-მთავარნი, რომელნიც ბიზანტიის იმპერატორსა და მუსლიმურ მბრძანებელთან ერთად წარმოადგენდნენ მესამე ძალას მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ბუნებრივია, ევროპელ ვაჭართა მიერ მახლობელ აღმოსავლეთში გაჩაღებული აღებ-მიცემობისას მიმოქცევაში იქნებოდა იმ პოლიტიკური ძალის მონეტა, ვისი მფარველობითაც ლათინი ვაჭრები უსაფრთხოდ საქმიანობდნენ პორტებსა თუ სხვა სავაჭრო ცენტრებში. ამიტომ, ჩვენი აზრით, დავით აღმაშენებლის ბოლო მონეტაზე „ხუთჯვრიანი" ნიშნის გაჩენა სწორედაც უნდა უკავშირდებოდეს მეფის მიზანდასახულობას გაეფართოებინა ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობები სამხრეთისკენ, მცირე აზიაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს მეფის მონეტაზე კათოლიკური სიმბოლოს გაჩენას განაპირობებდა მახლობელი აღმოსავლეთის ახალი სავაჭრო-ეკონომიკური და ფულად-საფინანსო ვითარება, როდესაც სააღებმიცემო ოპერაციებისას „ხუთჯვრიანი" მონეტები ფართოდ გამოიყენებოდა.

დაბოლოს, უნდა ვახსენოთ მ. პატარიძის მიერ შემოთავაზებული ვარიაცია ერთიანი იერსახის მქონე ქართულ-ჯვაროსნული დროშების თაობაზე. ავტორი შენიშნავს, რომ დავით აღმაშენებელსა და ჯვაროს-

ნებს ერთმანეთის მიმართ მხოლოდ თანაალმობის სურვილი არ აკავ-შირებდათ-ო. „თანაალმობით" მკვლევარი, ალბათ, გულისხმობს იმას, რომ დავით აღმაშენებელს და ჯვაროსან მეფეებს ერთნაირი, „ხუთჯვრიანი" ნიშნით გამოსახული დროშები უნდა ჰქონოდათ. საკითხავია, რატომ უნდა ვიგულისხმოთ აღმაშენებლის „ხუთჯვრიანი" მონეტის მიხედვით, რომ მეფემ საქართველოს სეფე დროშაზე ასეთივე სიმბოლო გამოასახვინა?!

ჯერ ერთი, ზემოთ ვაჩვენეთ, რომ „ხუთჯვრიანი" მონეტების მიმოქცევა საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში დასტურდება ვრცელ ტერიტორიაზე და დავით აღმაშენებლისა თუ XIII ს-ის ქართველი მეფეების მონეტებზე, ვინც ჩართულნი იყვნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან სააღებმიცემო საქმიანობაში, კათოლიკური სიმბოლოს გაჩენას, ვიფქრობთ, განაპირობებდა სწორედაც საგარეო-ეკონომიკური ფაქტორი (გავიხსენოთ, რომ ზემოდასახე-ლებული ტერიტორიების საბაჟოებზე ასევე ფუნქციონირებდა „ხუთჯვრიანი" დამღები) (ჯაველიძე, 2021: 131-152). მეორეც, ისტორიულ წყაროთა ცნობების მიხედვით არ ჩანს, რომ დავით აღმაშენებელსა და ჯვაროსნებს შორის ჩამოყალიბებული იყო მჭიდრო პოლიტიკურ-სამხედრო კავშირები. მაშინ რა აძლევს მკვლევარ მ. პატარიძეს იმის თქმის საფუძველს, რომ მართლმადიდებლური საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელს კათოლიკური სამეფო-სამთავროების ჯვაროსან მეთაურებთან აკავშირებდა „თანაალმობის" სურვილი?! განა მისაღებია, მხოლოდ მონეტის ხატწერის საფუძველზე, ისე, რომ არ გაითვალისწნო არანაირი ცნობები ქართული ვექსილოლოგიის ისტორიიდან სეფე და სხვა დანიშნულების დროშების იერსახის შესახებ, მეტიც, ვერ დაასაბუთო და ვერ წარმოაჩინო, თუ რატომ უნდა გასჩენოდა დავით აღმაშენებელს „ხუთჯვრიანი" დროშის შექმნის სურვილი, განაცხადო, რომ მეფის ნებით საქართველოს სეფე დროშაზე გამოსახეს „ხუთჯვრიანი" ნიშანი?! სახელმწიფო ატრიბუტიკის თაობაზე ასე ჰაი-ჰარად მსჯელობა, ვეჭვობთ, წაადგებოდეს ისტორიული სიმართლის გარკვევას. აქვე ერთიც უნდა დავსძინოთ. ვიცით, რომ შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში არ არის აღწერილი ერთიანი საქართველოს სეფე დროშის ალამი, მაგრამ ქართული საისტორიო წყაროების ზოგიერთი ცნობის მიხედვით შესაძლებელია წარმოვაჩინოთ, რომ მ. პატარიძისეული „თანაალმობის" ფაქტი არ შეესატყვისება სინამდვილეს. ასე მაგ., დავით აღმაშენებლის შემდგომი დროის სეფე დროშა დახასიათებულია შემდეგნაირად:

ბაგრატოანური და უფროსღა გორგასლიანური; დროშა იგი გორგასლიანი

„ისტორიანი და აზმანი"...

დროშა დავითისი; ბასილი ეზოსმოძღვარი

დავითიანი და გორგასლიანი დროშა; ჟამთააღმწერელი

გურგასლიანი დროშა; მარი ბროსსეს ისტორია

ესე იგი, თამარის და მისი მემკვიდრეების მემატიანენი სეფე დროშას უწოდებენ გორგასლიან-ბაგრატოან-დავითიანს. აქედან ჩანს, რომ თამარის

დროს არსებობდა იგივე ბავრაყი (ან მისი ზუსტი ასლი), რაც ჰქონდათ ვახტანგ გორგასალს, ბაგრატ მესამეს, დავით აღმაშენებელს და ეს დროშები იყო ერთი იერსახის. თუკი დავით აღმაშენებელი შეცვლიდა თავის ბავრაყს ჯვაროსანთა დროშის მიბაძვით, მაშინ თამარის, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ზეობის დროს როგორღა უწოდებდნენ სეფე დროშას გორგასლიან-ბაგრატოანს?!

რიტორიკული კითხვა: იყო თუ არა შესაძლებელი, რომ დავით აღმაშენებელს უარეყო სეფე დროშა, რომლის ალამზე, გადმოცემის თანახმად, აღბეჭდილი იყო მთავარმოწამე წმ. გიორგი:

ვისაც ქართველები ლოცვას აღუვლენდნენ ომში წასვლის წინ

(მეტრი გოსუენი – XIII ს)

ვინც მფარველად და მედროშედ მიაჩნდათ ურწმუნოებთან ბრძოლაში

(ვაჟ დე ვიტრი – XIII ს)

ვისაც ბრძოლაში, შეჭირვების ჟამს მეოხად უხმობდნენ სახელით

(ქვემორაინელი ანონიმი – XIVს)

ვინც იყო პატივდებული, გამორჩეული მოწიწებით რომ ეთაყვანებოდნენ

(მარინო სანუდო ტორსელი – XIVს)

ვინც მეფე დავითს დიდგორის ომში „განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა"

(დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი – XIII ს.)

და ამ წმინდანის ხატი ჩაენაცვლებინა მართლმადიდებლობისთვის არაკანონიკური, კათოლიკური „ხუთჯვრიანი" ნიშნით?!

უმართებულოა ქართველი ერის ისტორიის საკითხები ვიკვლიოთ თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გადასახედიდან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

dundua,t. (2000). *zeli tskxovrebisai da misi variantebi.* tbilisi. (დუნდუა, თ. (2000). *ძელი ცხოვრებისაჲ და მისი ვარიანტები.* თბილისი).

ghvaberidze, ts. (2918). ertiani sakartvelos samepos sakhelmwipo droshis shesakheb. *istoriisa da etnologiis institutis shromebi.* XIV-XV. tbilisi. (ღვაბერიძე, ც. (2018). ერთიანი საქართველოს სამეფოს სახელმწიფო დროშის შესახებ. *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები.* XIV-XV. თბილისი).

pataridze, m. (2022). *davit aghmashenebeli (numizmatikuri memkvidreoba).* tbilisi. (პატარიძე, მ. (2022). *დავით აღმაშენებელი (ნუმიზმატიკური მემკვიდრეობა).* თბილისი).

tskhovreba mepet-mepisa davitisi. (1955). *kartlis tskhovreba.* t. I. teksti dadgenili qvela dziritadi khelnaweris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tbilisi. (ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. (1995). *ქართლის ცხოვრება.* ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი).

https://libking.ru> Анна Комнина, Алексиада

Vizantiiskie istorii perevedennie s grecheskogo pri Sankt-Peterburgskoi dukhovnoi Akademii. (1860). T. 2. (Византийские истории переведенные с греческого при Санкт-Петербургской духовной Академии (1860). თ. 2. Санкт-Петербург).

meskhia, sh. (1972). *dzlevai sakvirveli.* tbilisi. (მესხია, შ. (1972). *ძლევაი საკვირველი.* თბილისი).

https://azbuka.ru> Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов (1118-1180). Труд Иоанна Киннама. (1859). Кн. IV. С-Пб.

Ravdina, T.B. (1988). Pogrebenia X-XI vv. s *monetami na teritorii drevnei Rusi: katalog.* Moskva. (Равдина, Т. В. (1988). *Погребения X-XI вв. с монетами на территории древней Руси: Каталог.* Москва).

https://coins.lave.ru/forum/viewtopic.php?f=56&t=1031536 Полюхович, Д. История денег. Тайные монеты Хмельницкого и “фальшивки” Дорошенко. (forum.castlecoins.ru. Poliukhovich, D. Tainie moheti Khmelnitskogo i “palshivki” Doroshchenko.).

javelidze, n. (2021). *tyutosakhe.* tbilisi (ჯაველიძე, ნ. (2021). *თუთოსახე.* თბილისი.)